



საქართველო



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ. ზუგდიდი

12.02.2019 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
განკარგულება №16

კერძო სამართლის იურიდიული პირის „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრის“  
რეორგანიზაციის განხორციელების მიზანშეწონილობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის  
მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის და 106<sup>1</sup> მუხლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან მიღებული (წერილი №03/110, 06.02.2019 წ.) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების სტრუქტურისა და საქმიანობის შესწავლის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის შუალედური დასკვნისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 11 თებერვლის №02/1522 წერილის საფუძველზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია თანხმობა მისცეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს რეორგანიზაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიული პირის „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრში“.
2. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს განახორციელოს რეორგანიზაციათან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.
3. განკარგულება გადაგზავნილ იქნას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი რ. ლალიძის ქ. №12).

საკრებულოს თავმჯდომარე



მამუკა წოწერია